


საგაზეთო

საერთო უკრაინული გაზეთი

შაბათი 31 მარტი 2001 №57 (1330)

ფასი 50 თეთრი

2 კარნეგალიმ ენას
კბილი დააჭირა,
მაგრამ ალაპარაკდა
ინგრედიბილზე! ინგრედიბილზე!



8 **კია კლოდი და
26 ბორჯღალოსანი**



რუმინეთთან მატჩის
წინ საქართველოს
მორაგბეთა ნაკრები
ერთი კვირა საფრანგეთში
ივარჯიშებს

14 **ყველაფერი
ასიდან რეპასამდე**



ტორპედო იან ტორპმა
ავსტრალიის ჩემპიონატი
ოთხი ოქროთი და ორი
მსოფლიოს რეკორდით
დაასრულა

ბოდიში!

რესპიაზვილი იტალიელებს გამოცდას მეორედ ჩააბარებს

ასეთი რამ იშვიათია და, თუ არ ვცდები, აქამდე
საქართველოს ნაკრების არც
ერთ ფეხბურთელს არ გაუკეთებია.
გუშინ ლატვიაში რიგის „სკონტოსა“ და საქართველოს
ნაკრების ნახევარმცველ ალექსანდრე რეხვიაშვილს
დავუკავშირდით. იტალიის „ბოლონიაში“ მის შესაძლო
ტრანსფერზე დავეკითხეთ...

— ჯერ არაფერი გადამწყვეტილა, ყველაფერი ალბათ
ინგლისში გაირკვევა, სადაც ხვალ ამხანაგური მატჩის
ჩასატარებლად მივემგზავრებით. ვიცი, რომ იტალიელები
თბილისშიც იყვნენ და ახლა საბოლოო მოლაპარაკება
ინგლისში უნდა შედგეს. ისინი იქ ჩამოვლენ და „სკონტოს“
ხელმძღვანელებს დაელაპარაკებიან. აი, ეს ვიცი ამის
თაობაზე, მაგრამ ეს ორი დღეა, სხვა რამ უფრო მანუხებს
და რახან თბილისიდან, „სარბიელიდან“ დამირეკეთ,
ვისარგებლებ შემთხვევით და გეტყვით: რუმინელებთან
თამაშის მერე გულმოკლული ვარ, ნაგება ვერ
მომინელებია. ბოდიში, დიდი ბოდიში ქართველ ქომაგებს,
ბოდიში იმისთვის, რომ იმედი ვერ გავუმართლეთ...
პოზა ინასარიძე




მუხამ დულენჯაშვილის ფოტო

თუ სხვალ ფერარისე მოიბო, მაკლარენმა ილოსოს უშმახერის პრა სენას სამშობლოში?

თუ სხვალ ფერარისე მოიბო, მაკლარენმა ილოსოს უშმახერის პრა სენას სამშობლოში?

ხვალ აირტონ სენასა და რუბენს
ბარიკელოს მშობლიურ სან
პაულუში ფორმულა 1-ის
წლევანდელი ჩემპიონატის მესამე
ეტაპი გაიმართება.
ზედიზედ ბოლო ექვსი რბოლის
მომგები მიხაელ შუმახერის
სისხლისფერი ბედაური ისე
მოუსვენრობს, ბრაზილიაშიც
აპირებს „მაკლარენების“ საქვეყნოდ
შერცხვენას. „ფერარის“
უპირატესობა უმთავრეს მეტოქეზე
მართალია, სადღეისოდ აშკარაა
(ქულების სხვაობაა 30-11), მაგრამ
„ვერცხლისფერი ისრები“
ფარხმალის დაყრაზე, ცხადია, არც
ფიქრობენ და ჩამორჩენის
დაძლევის მოკლე ხანში, ორი
ეტაპის შემდეგ ვარაუდობენ, როცა
ავტოსპორტის საერთაშორისო
ფედერაცია ზოგიერთი ტექნიკური
სიხლის ნებას დართავს.
ჯერჯერობით კი მართლდება შუმის
დაპირება — ახალ საუკუნეში
„ფერარის“ ახალი ერა
უნდა დავინყო.



REUTERS სან პაულუდან

იბილეთ მეთერთმეტე გვერდი

მიხაელ შუმახერი გუმინდელი პირველი ვარჯიშის წინ



ადრიან ილიეს ფეხბურთელებს საჯაროდ მარტოებს

ილიესა სუდად დასრულდა

როგორც ჩანს, საქართველო — რუმინეთის მატჩისას შეცდომები მარტო ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს არ დაუშვიათ. ეს ჩვენთვის ვერაფერი ნიშნავს, მაგრამ ფაქტია, მწვრთნელ შვეცდა რუმინელთა თავდასა დადილა ბოლომდე.

ბოლომდე შეცდომას, ვიფიან-დომუსა-ვილისგან განსხვავებით, გუნდისთვის სამი ქულის მოპოვებაში ხელი არ შეუშლია, მაგრამ საკმაოდ კი აღმოჩნდა ერთი ფეხბურთელისთვის. საქმე ისაა, რომ რუმინეთის ეროვნული ნაკრებისა და „ვალენსიას“ ფორვარდი ადრიან ილიესის ბოლომდე ველარ ითამაშეს.

„ვალენსიას“ ექიმებმა ვერ კიდევ იტალიასთან მატჩამდე გააფრთხილეს ბოლონი, რომ ილიეს მზად არ იყო ორი ტაიმის სათამაშოდ. მწვრთნელმა დაამტკიცა ვალენსიელები, ილიეს მხო-

ლოდ 45 წუთს ვათამაშებო, მაგრამ ბოლო მომენტში დაშავდა კიდევ ერთი რუმინელი თავდამსხმელი ადრიან მუტუ და ილიესაც 90 წუთს მოუხდა „სკუადრა ატურასთან“ ბრძოლა.

თბილისში გამოგზავრებადმი კი უკვე რუმინეთის ნაკრების ექიმმა პომილიუ პოპესკემ უჩიოა ბოლონი, ილიესს ნუ ათამაშებო, დასვენება სჭირდებაო. რუმინელთა თავდასა არც მისი რეკომენდაცია გაითვალისწინა და ილიეს ქართველთა წინააღმდეგ სასტარტო შემაღლებლაში გამოჩნდა. მალე კი შესაცვლელიც შეიქნა — დორინელ მუნტიანუს პასს შეყოლილმა ჯერაც მოუშუშებელი ტრავმა გაიმიხეზა.

ექიმთა ვარაუდით, ილიეს შემოდგომაზე თუ დაუბრუნდება მოედანს, მაგრამ ეს ჩვენთვის რაღა შედეგია...

ბაბაბ ახანბაღიანი



„გრენობლი“ — ტრავმა კარს ბურთიც ასცდა და იბრაჰიმ სონეიც

ქართველი ენას კბილი დააჭირა, მაგრამ ალბანურად ინპრედიბილუ! ინპრედიბილუ!

ჯანი კარნევალი ის კაცია, ვინც რამდენიმე წელიწადია, ქართულ ფეხბურთში საქმიანობს და მისი ავანგარდული კარგად მოუხსენებია. ახლა ეს იტალიელი სპეციალისტი „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერია — ორიოდე კვირა ამ საქმეს შეუღდა.

„ინკრედიბილუ“ (წარმოუდგენელი) — აღმოჩნდა უცხოელ სპეციალისტს, როცა რუმინეთის ახალგაზრდულმა გუნდმა მესამე გოლი გაუტანა ქართველ თანატოლებს, მეორე დღეს კი უკვე ჩვენი ეროვნული ნაკრები იხილა მიუღიანი მწვენიებით, თუმც ამჯერად ვერ გეტყვი, რა რეპლიკა შეურიჯა ქართველთა გვემას.

სენიორ ჯანის გუშინ „ვიტ ჯორჯიას“ ოფისში მივაკითხეთ. „ინკრედიბილუ“ — ეს მხოლოდ თქვენი ახალგაზრდების კარში მესამე გოლის გამო წამოვიძახებ, რუმინელებმა ბურთი მოედნის ცენტრიდან თქვენს მეკარემდე ისე იოლად მიიტანეს, რომ ეს მართლაც წარმოუდგენელი იყო. ერთი სიტყვით, „ინკრედიბილუ“ მხოლოდ კონკრეტული ეპიზოდის გამო ვთქვი — სათნო და ზრდილობიანი კაცია კარნევალი...



ჯანი კარნევალი

— თქვენ თქვენც არ ელოდით, თუ საქართველოს ეროვნული ნაკრები ასე უნათოდ ითამაშებდა ერთობ პრინციპულ მატჩში რუმინელებთან.

— არ იყო კარგი თამაში. ვერ გეტყვით რა მიზეზით, რა პრობლემების წინაშე იდგა საქართველოს ნაკრები. თქვენი გუნდი იბაღმაღ და დალადალა, მაგრამ მოუხედავად ამისა, ნაღდი, რომ ძალიან ცუდად ითამაშეთ.

— საქართველოს ნაკრებს მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ეფიქრა, თუმც გუნდმა აქტიური ფეხბურთი არ ითამაშა — ჩვენმა მწვრთნელმა სულ სხვა ტაქტიკა-სტრატეგია აირჩიეს. როგორ ფიქრობთ, როცა გუნდს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს, არ უნდა ითამაშოს შემტევი ფეხბურთი?

— ბუნებრივად ისეთი კაცი ვარ, რომ სხვის კრიტიკას თავს ვარიდებ, მაგრამ ორი წელია, საქართველოში ვარ, თავს ლამის ქართველად ვთვლი და მიმართა, რომ თამაშის ის სტილი საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა რომ შეარჩიეს, ცუდი ვარიანტი იყო.

— ყოველივე ამის თქმის საფუძველს, ალბათ, ისიც გვაძლევს, რომ საქართველოს ნაკრებმა ისევე ოთხი მცველით და ერთი აშკარა ფორვარდით ითამაშა.

— რა თქმა უნდა, ასეთი განლაგებით შემტევი ფეხბურთის თამაში არ გამოვა.

— ისიც, რომ გუნდს პრესინგი არ შეუძლია, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ სერიოზულ მიღწევებზე არც უნდა იფიქროს.

— კარგა ხანია, რაც ქართულ ფეხბურთში ვსაქმიანობ და, რა თქმა უნდა, ვხედავ, რომ თქვენი ფეხბურთი ევროპულ დონეს საკმაოდ ჩამორჩება. ასე რომ, პრესინგი რომ ვერ განხორციე-

რომელიმე ფეხბურთელს თუ გამარჯვებით ჩვენი ეროვნული ნაკრებიდან.

— გიორგი ნემსაძეს, ის დიდი მოთამაშეა. მის კლუბს, „დინოს“, ჩემი მეგობარი ივანო ბონეტი წვრთნის, რომელთანაც ხშირად მილაპარაკებ ნემსაძეზე, „დინოს“ მწვრთნელების დახასიათებით, ის ძალიან კარგი და სერიოზული ბიჭია, მოედანზე რაც შეუძლია, ყველაფერს აკეთებს. გიორგი ნემსაძე უფრო მეტად იღიარებს იმსახურებს.

— ჩვენში ახლა განსხვავებული აზრია იმის შესახებ, უნდა ითამაშონ თუ არა ქინქლაძემ და ჯამარაულმა ერთად ნაკრებში. თქვენ რას გეტყვით ამას?

— კარგა ხნით ადრე იტალიაშიც იყო მსგავსი პოლემიკა, კერძოდ, ბევრი მიიჩნევდა, რომ რივერასა და მაცოლას ერთად არ უნდა ითამაშათ, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ისინი შეცდნენ. რაც შეეხებათ ქინქლაძეს და ჯამარაულს, ქინქლაძე გამთამაშებელია, ხოლო ჯამარაული ბურთს უფრო დიდხანს ათამაშებს, სხვაგვარად ირავება და ვერ ვიტყვი, რომ ისიც გამთამაშებელია. ქინქლაძეს თავდამსხმელების უკანაც შეუძლია თამაში. ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ ორი კარგი ფეხბურთელს ერთად ითამაშონ არ შეუძლიათ. როცა ფაპარაკია ორი კარგი ფეხბურთელი ერთად, რომ ისინი მხოლოდ ფეხებით კი არ თამაშობენ, არამედ ტვინითაც. ჯამარაულს გონება კარგად უჭირს, ისევე როგორც ქინქლაძესა და ნემსაძეს.

— დაბოლოს, „ვიტ ჯორჯიას“ ვთქვით. ალბათ, უკვე დასასული გაქვთ სამუშაო გეგმა.

— ამ კლუბში 15 მარტიდან შევედები საქმიანობას. მჯერა, რომ პრესინგით გუნდს რეზულტატულად კარგ სამუშაოს ატარებს გუნდში და ასეთი პრესინგით ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტორია. კვლილობა, მყარი საფუძველი შეუქმნათ „ვიტ ჯორჯიას“ წინსვლას. ვაპირებ, ჩვენი მოთამაშეების იტალიაში, შევიტარიანო, მოვლაინდინა და გერმანიაში ჩაყვანას იქაურ კლუბებში გასასინჯად.

— თვლით, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელები შემდეგ, ვთქვით, სერია A-ში ან ბუნდესლიგაში თამაშს?

— შედეგებზე, თუმც არ უნდა დაგვივიწყდეს, რომ სერია A-ს ვარდა არის სერია B და სერია C. საქართველოს ჩემპიონატს სერია C-ს მივამსგავსებდი. მაგრამ ავიღოთ სერია A-ში მოსაპარეზე „ბერვია“. ამ გუნდის რვა ფეხბურთელი სულ ცოტა ხნის წინათ იტალიის მეოთხე და მეხუთე ლიგებში თამაშობდნენ, ახლა კი...

— კონკრეტულად „ვიტ ჯორჯიას“ რომელი ფეხბურთელის წაყვანას აპირებთ გასასინჯად?

— მათ ვინაობას მაშინ შეიტყობთ, როცა ისინი იტალიაში ჩავლენ. ახლა არ მინდა დასახელება, რადგან შესაძლებელია, დიდი წარმოდგენა შექმნათ საკუთარ თავზე კონკრეტულად გეტყვი იმას, რომ ამრიგის ბოლოს სერია A-სა და სერია B-ს რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი საქართველოში ჩამოვა, რათა ფეხბურთელები შეარჩიონ.

დავით თამარაძე

ინგლისი
I დივიზიონი. XL ტური
ტრანზიტი 14 ფაუნტი

საფრანგეთი
თასის 14 ფინალი
ბანსონი 24 დედა (22) ტრუბ

ბელგია
XXVII ტური
ანდერლესტი 33 მუსარონი

იტალია
სერია B. XXIX ტური
მიტაბილა 01 კონსენა

თურქეთი
XXVI ტური
თუზაბილი 42 მინილი

პოლონეთი
XVIII ტური
პოპოვი 30 მინსა

გერმანია
XXVII ტური
ბოლზსაბი 21 პანა
10, 20 კოლპორი (14, 60), 21 მილაკო (66)
II ბუნდესლიგა
XXVII ტური
მენიცი 11 ნორნბერგი
ზაბარბიუნი 10 ზანტ ბაული

ბელტი ბელტი არ ყოფილა

ბუშინი კიდევ ერთხელ შეიკრიბა სადისციპლინო კომიტეტი და 28 მარტს გადადებული საკითხი გააჩიოა. 22 მარტს, გორში, „დილა“ — „კოლხეთის“ პრინციპულ მატჩში თანამსაჯ ბუიშვილს თავში რაღაც მოხვდა და...

მაშინ ვერაუინ ვარკვია, რა ესროლეს ბუიშვილს. სხლომას არც იმ მატ-

ჩის დელეგატი ესწრებოდა და არც დაზარალებული თანამსაჯი.

გუშინ კი ყველა ერთად შეიკრიბა როგორც ვარკვია ბუიშვილს ბელტი კი არა, ერთი მუჭა მიწა მოხვედრია, რომელიც წამსვე დაიფხვნაო. ეტყობა, თანამსაჯი უფრო შიშმა წააქცია, ვიდრე ტყვიობა.

გორელებმა პირობა დადეს, უსაფრთხოების წესებს გაემაკაცებო.

სადისციპლინო კომიტეტმა „დილას“ საშინაო სარბიელს სერონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია გამოუწერა, კლუბის თავდაცვა 400 ლარ ჯარიმასაც გადაიხდინა.

ერთი მუჭა მიწა ბელტად რატომ მოეჩვენა მსაჯ-დელეგატს, მინც გაუგებარი დარჩა.

გაფრთხილება



გერმანია

სოლომონ გულიაშვილი

შესხედრის აღბილი შესვლილია — შტუტგარტი

XXXVII ტურში

დღეს

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like შტუტგარტი, შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს.

ხვალ

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს.

გუშინ

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს, შპს.

სადღეისო ვითარება

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards, Points. Lists various teams and their statistics.

ამ უშედეგო ბუნდესლიგაში ორი მთავარი მატჩია. დღეს „ლევერკუზენი“ „შალკეს“ მასპინძლობს, ხოლო ხვალ „კაიზერსლაუტერნი“ „დორტმუნდს“ დაუხვდება.

ესკანეთი

XXXVIII ტურში

დღეს

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like რეალი, დეპორტივო, ვალენსია, ბარსელონა, მალიორკა, ვილიარეალი, ალავესი, მალაგა, სელტა, ესპანიოლი, ბილბაო, ლას პალმასი, რაიო ვალეკანო, სარაგოსა, ვალიადოლიდი, ოვიედო, ნუმანსია, სოსიედადი, ოსასუნა, რასინგი.

სადღეისო ვითარება

Table with 6 columns: Team Name, Goals, Assists, Yellow Cards, Red Cards, Points. Lists various teams and their statistics.

სარბიელი

გიორგი ღარსანი

ახლა მშვიდად მუშაობაც შეიძლება. ვისე-ნტე დელ ბოსკეს „რეალმა“ კონტრაქტი ორი წლით გაუგრძელა და მწვერვალზე პირად საკითხების მოგვარებიდან საზოგადო საქმებზე ანუ გუნდის მომზადებაზე გადაერთო.

გასულ კვირაში გერმანიის ნაკრებში წარმატებული დებიუტი ჰქონდა — ორ მატჩში ორი გოლი გაიტანა. ჯერ, შაბათს ალბანელებს გამარჯვების შეუდგ, მერე ბერძნებთანაც იყოჩაღა.



მეგმეთ შოლი „ბაიერნისთვის“ დღეს ვერ გაიტანს

საინტერესოა, რომ „დორტმუნდმა“ კაიზერსლაუტერნში ბოლოს 1987 წელს მოიგო. ესეც ლიდერთა ამბები. დღეს კი საქმეში ჩვენებურთა კლუბებიც ჩაებებიან. არჩილ არველასის „ვიორნი“, „შტუტგარტს“ სტუმრობს. მასპინძლები ბოლოსწინა ადგილზე არიან და აუცილებლად მოგებას ეცდებიან, თუმცა ტრავმირებული მცველ თომას შნაიდერს და ბრაზილიელ თავდასხმელ ადემარს ვერ ათამაშებენ.

ტაქტიკურ-პროფორმობიური პრობლემები რეალში

ჩაღა „ოსასუნას“ ოდენ არიელ ზარატეს ბოლო წუთზე გატანილი გოლით დაუხავდა. თბილისში ადრინ ილიეს ფეხის უხერხულად მოქცევამ „ვალენსიას“ პრობლემა გაუჩინა. ექტორ რაულ კუპერი კარგა ხანს ელოდა რუმინელის გამოჯანმრთლებას და ისევე ტრავმა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ვალენსიელები აქამდე ფონს უოლიერდ გადიდნენ, რის გამოც მწვერვლის ფიქრები უფრო პაბლო აიმარს დასტრიალებს.




ჩაღი კუპერ-ნაწლავმა შეაქცია

დაიწყებს და, შესაძლოა, კვლავ ნაკრებშიც იქნება. ადგილზე ითამაშოს. საინტერესოა, რომ „ჩრდილო“ „შტუტგარტის“ რუმინელ იონელ განიას დაუპირისპირდება.

მოგვსენებთ, ტყუპისცალს რუმინელთან თბილისურ მატჩში არ უთამაშია, ხოლო განია იტალიასთან შეხვედრის მერე მწვერვალზე დაი-სლაუ ბოლონის წაყვია და ნაკრებიდან მოკვე-თეს. მოკლედ, თუ არა თბილისში, მაშინ შტუტ-გარტში...

„ფრაიბურგი“ კი ფრანკფურტის „აინტრახტს“ დაუხვდება. ფილკერ ფინკს შემადგენლობის პრობლემები მოსაძლეობა. დისკვალიფიცირებული ჰყავს ნახევარმცველი ანდრეას ცაიერი, ხოლო მცველ უმარ კონდესა და შუახაზელ ადელ რამდანეს ტრავმები აწუხებს. გაურკვეველია ლევან ცქიტიშვილის ამბავიც. ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი კი მატჩს თავიდანვე დაიწყებენ.

NBA. რეზულტატი რეზიუმე



მილუოკი — მიაში. გლენ რობინსონი (ბურთით) და მიაშელი ბრუს ზოუნეი

კიდამ რაკება ააფეთქა

29 მარტი

სან ანტონიო 106:88 იუტა

სან ანტონიო: დანკანი (29), ანდერსონი (23)
იუტა: მელონი (24), მარშალი (16)

მილუოკი 104:96 მიაში

მილუოკი: რობინსონი (27), კსელი (17),
პანტერი (17)
მიაში: პარკერი (25), მეისონი (18 ქულა,
9 პასი, 8 მოხსნა)

პოსტლენი 85:90 ვინიძა

პოსტლენი: თაბორი (20 ქულა, 11 მოხსნა),
ფრენსონი (13 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)
ვინიძა: კიდი (43)

შენაუპერი 89:68 ნიუ იორკი

შენაუპერი: აბდურრაჰიმი (30), ბიბი (16),
დევინსონი (15)
ნიუ იორკი: პოსტლენი (12)

ჩიკაგო 104:106 პოსტლენი

ჩიკაგო: ბრენდი (22 ქულა, 11 მოხსნა, 5
დაფარება), მერსერი (17)
პოსტლენი: ბიბი (24), უოლკერი (23 ქულა,
11 მოხსნა, 11 პასი)

ატლანტა 104:93 ინდიანა

ატლანტა: ტერი (28), მუბამედი (18 ქულა,
15 მოხსნა)
ინდიანა: მელერი (24), ინილი (15), როუზი (15)

ვაშინგტონი 116:100 ბოსტონი

ვაშინგტონი: პარკერი (41 ქულა, 9 მოხსნა,
8 პასი), ვაიტ (21 ქულა, 16 მოხსნა),
ილიესენი (24)

გოლდენ სტიტი: ჯეიმსონი (31), ბლეი

ლოვი (18 ქულა, 11 პასი)

„სან ანტონიო სფურზი“ ბოლო 10-12 წელი, ლონიერი გუნდია, მაგრამ სანამ ტიმ დანკანს ჩაიკვებდა ხელში, „იუტა ჯაზის“ საკრივე მსხალს წარმოადგენდა და მასთან ხუთიდან მინიმუმ ოთხ შეხვედრას აგებდა. კარლ მელონის „იუტა“ მუდამ აბითურებდა დევიდ რობინსონის „სან ანტონიოს“, მაგრამ დანკანის მისვლამ ყველაფერი შეცვალა. ჯეილი დანკანი სულ იმას ღამობს, მსოფლიან მელონს დაუმტკიცოს, შენს აპლაუზს პირველი ვედარ ხარო და ეს თითქმის ყველა პირად შეხვედრაში მშვენიერად გამოსდის. ასე იყო 29 მარტსაც. დაუელი დანკანმა მოიგო, თამაში — „სან ანტონიომ“.

მატჩამდე, როგორც ხედავთ, ინტრიგა დიდი იყო. ამასთან, ძველ მოშულათ სხვა სტიმულიც ჰქონდათ — დასავლეთში გალიდრებული „სან ანტონიოს“ უახლესი მდევარი სწორედ „იუტა“ გახლდათ, კონფერენცია-

ში ჩემპიონობისთვის თავის გამოდგმა უცილობლად ღირს. ამიტომაც „სან ანტონიოს“ ოციათას კაციან დარბაზ „ალამოდოლუმში“ შეკრებილი 24 ათასი კაცი (!) მეტად დამბულ ბრძოლას მოელოდა, მაგრამ მასპინძლებმა თავიანთ ქომაგთა მოლოდინს ცივი წყალი გადაასხეს, იმდენად იოლად დაჩაგრეს მარადიული „მეტერი“. ეს სულაც არ გახლდათ ორი ტოლმალეონი გუნდის შერკინება, აქ ერთი გუნდი მეორეს დაუნდობლად ასილაქებდა, ისე, რომ ხურდასაც ვერ იღებდა.

პირველივე ნახევარში დანკანმა სასტიკად დაჩაგრა მეორე მელონი და მასთან ჭიდილში 14 ქულა მოიძიო, მაგრამ მარტო იგი არ ვახლდათ „ჯაზის“ თავის ტყვილი. ბურთს ყველა მასპინძელი აგებდა და საწყისი თორმეტწუთი რომ მიიღია, „სან ანტონიოს“ 36 ქულა ჰქონდა, „ჯაზს“ კი ხუსტად ამის ნახევარი. „იუტასთან“ ადრინდელი წაგებებით გაგულისებული მასპინძლები ამაზე რას გაჩერდებოდნენ და კვლავ განაგრძეს სტუმართა დაწიოკება, რომლებიც თანდათან გონს მოდიოდნენ, თუმც რაღა დროს ტაიმთა გასაყარზე „სან ანტონიოს“ 24 ქულით — 67:43 იგებდა, რაც უკვე გამარჯვება იყო და თამაშსაც ახრი დაეკარგა. მეორე ტაიმში გუნდებმა ვალი მოიხადეს, ხუთ-ხუთი კაცი, მეტწილად სათადარიგოები, 24 წუთის განმავლობაში ეღობუნენ ერთმანეთს. მასპინძლებმა თავიანთი სოლიდური უპირატესობიდან სტუმრებს ექვსი ქულა დაუთმეს, თუმც ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. „სან ანტონიომ“ წლეულს უკვე შესამედ იყარა ჯავრი „იუტაზე“ და, ალბათ, საბოლოოდაც ჩამოაშორა დასავლეთში პირველი ადგილისთვის ბრძოლას.

29 მარტს კიდევ ერთმა დასავლელმა იგება მწარე მარცხი. „იუტას“ დარად, „პოსტლენიც“ იბრძვის, მხოლოდ არა კონფერენციაში პირველობისთვის, არამედ მერვე ადგილისთვის, რაც პლეი ოფში მოხვედრას ნიშნავს და კიდევ იბრძობებს. თუმც „უინიქსთან“ გუშინწინდელი მარცხის შემდეგ პლეი ოფსკენ მორინაება პოსტლენელმა „რაკეტებმა“ გვარიანად უკლეს სიჩქარეს და თუ სასწაული არ მოახდინეს, სანატრელ პლეი ოფს ვედარც უწევენ. „პოსტლენი“ შინ თი-

თქმის მივლი მატჩის განმავლობაში უკებდა „ფინიქსს“, მაგრამ შეხვედრის ბოლო ეტაპზე სტუმართა თეთრი ლიდერი ჯეიმსონ კიდი გადაირია, თავისიანთა ბოლო 17 ქულიდან 16 თავად მიითვა და „ფინიქსს“ ზედიზედ მეექვსედ მოაგებინა. კიდს საბოლოოდ 43 ქულა დაუგროვდა და ხუთი ქულით გააუმჯობესა კარიერის ძველი რეკორდი, რომელიც, სხვათა შორის, ასევე „პოსტლენთან“ დაამყარა ახალბელობისას, 1995 წელს.

მას შემდეგ, რაც ნავადმყოფარი ლიდერი ალონზო მურინიგი დაუბრუნდა, „მიაში პითმა“ მეორე მატჩიც წააგო. მურინიგი ნახევარზე წელი მეორეაგება თირკმელს, ამიტომ მწვრთნელი პატ რაილი მის სრულად დატვირთვისს ერიდება. ალონზომ 19 წუთი დაჰყო მოედანზე და თამაშზე გაკლენა ვერ მოახდინა. თანაბარ შეხვედრაში კი მისმა გუნდმა ბოლოსდა დაუთმო მეტოქეს, რომლის სნაიპერებმა — რობინსონმა, კსელმა და ალენმა (13 ქულა) სტუმრებს ყველა მნიშვნელოვანი ბურთი ჩაუგდეს.

„მიაში“ მატჩამდე აღმოსავლეთში შესამე-მეოთხე ადგილს იყოფდა „ნიუ იორკთან“ და 29 მარტს ამ მხრივ არაფერი შეუცვლია, რადგან თავად „ნიუ იორკსაც“ წააგო, უფრო სწორედ, თავს ლავი დაისხა — უხეირო „ვანკუვერთან“ განადგურდა მის გამბითურებელს მანამდე ზედიზედ ცხრა წაგება „მოუხერხებინა“. ამასთან, კანადურ გუნდს „ნიუ იორკისთვის“ არსებობის მანძილზე ერთადერთხელ მოეგო, ისიც შორეულ 1995 წელს, გუშინწინ კი ერთბაშად 21 ქულით გაანადგურა. მასზე ვითომ ათი თავით მალა მდგომი მეტოქე.

სუპროლიგა

სუპროლიგა რეზიუმე 29 მარტი

სამპლიონი 96:83 ულერი
სვაკოლინი: ბუკერი (21), გიგნა (7), ჯონსონი (21), მავლი (7), ლ. მიდლტონი (17), ჰენრი (3), ტრინა (9), ტუმი (9), ძანელი (2)
ულერი: მიკი, ერდენი (22), გოლიოვი (8), გონლეში (4), გიულერი, პენდოლტონი (3), ლოლისი (15), უბრაუნა (20 წუთი, 21 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა), სარიჯა (5), ილდირიმი (5)
სერიის ანგარიშია 1:1

პრებ 79:86 პანათინაიუსი
კრკა: ანულოვი (4), კორტნი (20), დევისონი (20), დონილი (12), დ. დროზნი (9), გრემი (14), ბეტროვი
პანათინაიუსი: ალვერტისი (26), ბოდროვა (25), ფოცისი (8), ჯენტილ კალაძისი (6), კობი (3), დ. მიდლტონი (4), რებარია (5), როჯერსი (9)
პანათინაიუსი 2:0 მოიგო სერია

ოსტინად 70:77 ესტ
ოსტინად: ბენი (3), ბესი (13), დოილი (2), პოლენი (13), კულამი (13), მენაბი, პრაპევიჩუსი (21), ვან დე კეირ (3), ვან დენ შიგელი (2)
ესტ: ალანოვი (6), დომანი (10), ეინი (2), ფეტისოვი (11), კორიფერო (12), კუდელინი (7), ლარუ, მორგუნოვი (2), პეტრევიჩი (15)
ესტა-მ 2:0 მოიგო სერია

პროტონი 83:85 სპლიტი
პროტონი: დიავი (8), დიუბო (10), ესტელიერი (16), ფოტო (4), დ. გადუ, ლოსონი (9), მაკალი (24), ფ. პიტრუსი (10), 8. პიტრუსი (4)
სპლიტი: ბადიმი (11), გრეგოვი (7), გრგურევი (8), ლენდი (7), პოლიავი (6), რენერი (12), სუბოტინი, ტომელიავი (2), ვუიჩი (25), ფიჩი (7)
სპლიტმა 2:0 მოიგო სერია

საბა 88:77 ირაკლინი
საბა: ალექსი (25), გარსი, კორტოროვი (17), ლუტკე (13), ოხთურტი (9), პაბიჩი (2), პემიჩი (11), ფელსი (11), როდლი
ირაკლისი: ხადიფრეტისი (5), სრინანტო პულსი (2), დიამანტიდისი (3), ჰუმბანი (5), კამაროტისი (5), კარაგუსტისი (13), კარასიოვი (5), ნაკიჩი (22), პაპადოპულუსი (9), პაპაიოაკიმი (8)
სერიის ანგარიშია 1:1

ვილირბანი 94:76 პარტიზანი
ვილირბანი: ბილბა (6), ბლომი (16), ედვარდსი (27), ფრიგუ (12), პოჟმანი (7), მიგელი, პაშუტინი (8), პლევი (11), სკიარა (7), სი
პარტიზანი: ბერინი (9), პულატოვი (5), ჩანაჩი (12), კოტონი, გაიჩი (8), გლინტი (14), კოჟინი, მარკოვიჩი (11), მილისავიცი (6), პეტროვიჩი (7), გარდა (4)
სერიის ანგარიშია 1:1

დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გვიანდენ მეოთხედონალში გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 5 აპრილს



პროტონი — სპლიტი. ტერენს რენერი (ბურთით) ბოვლო კისონ ლოსონს გასცდა



ფრანგული კვირა

გუმბარესტის ჯახის წინ

ავროპის ერთა თასი. მახუთა ტური. 7 აპრილი



რუმინეთი - საქართველო



გუმბარესტი. «ბანჩას» სტადიონი. 14 საათი



თამაზ ჩაღუნელი (მურთი) საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა პირველად იხმო ფრანგულ შეკრებაზე

7 აპრილს, „ევროპის ერთა თასის“ წლებად გამოაცხადებინათ ბოლო ტურში, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გადამწყვეტი მატჩი ელის რუმინეთის გუნდთან. აქამდე არც ერთ მატჩს განუცვლია მარცხით გამოწყვეული სიმწარე და არც ამჯერად ამირებს რაიმეს დათმობას. რუმინეთი

დღეს რომ საქმად ძლიერი გუნდია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ეს ჩვენმა მორაგებებმაც კარგად იციან და მათმა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმაც. სწორედ ამიტომ მატჩამდე ერთი კვირით ადრე სორელმა გაფართოებული შეხვედრებით საფრანგეთში იხმო და ბოლო დროს დამკვიდრებუ-

ლი ტრადიციისამებრ გრანდ-მოდე ბაზზე შეუდგა მატჩის სამზადისს. უცხოელთა, საფრანგეთში მოწყობილი შეკრება ერთობ წაადგება ჩვენს მორაგებებს. იქ შექმნილ მშვენიერ პირობებზე რომ არაფერი ვთქვათ, საფრანგეთში მოედლების საძიებლად კარდაკარ სიარულსა და ათასგვარი წინააღმდეგობების დაძლევაში დრო არ დაეკარგებათ.

ფრანგი მწვრთნელის განკარგულებაში ოცდაექვსი მორაგებია, ამათგან მუსიე კლოდი იმ ოცდაორს შეარჩევს, ვინც ბუქარესტში რუმინელებს დაუპირისპირდება. ნაკრებს დაუბრუნდნენ ტრადიციულ მწვრთნელი მესამე სახელი გრეგუარ იაშვილი და პირველხარისხილი სოსო ნიკოლაენკო. სორელმა გუნდში პირველად მიიწვია მორკინალი თამაზ ჩაღუნელი, მაგრამ მოხვდება თუ არა ეს მორაგებე ოცდაორ იბბლანს შორის, მწვრთნელი გადაწყვეტს. დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრების კარი კვლავ შეივსო ირაკლი მთლემდემ, „ბორჯღალოსანთა“ სათადარიგო მე-9 ნომრის, შოთა მოღებაძის უმცროსმა მამამ. სორელმა არც ამჯერად გამოიძახა ქართველთა საუკეთესო მელელოვე არჩილ ჭავჭავაძე.

ბორჯღალოსანთა სრული შეხვედრებით კი ასე გამოიყურება: ფორვარდები: მელელე მთლემდემი, ვოლენტი შევილიძე, აქესენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, ტარიელ რატიანიძე, თამაზ ჩაღუნელი, დავით ბოლბაშვილი, ბესიკ უფესიანი, ზურაბ მჭედლიძე, სოსო ნიკოლაენკო, ილია ზედგინიძე, გრეგუარ იაშვილი, ვიქტორ ლიდეშვილიძე, ვია ლაბაძე, ვანო ნადირაძე. ბეკები: ირაკლი აბუსერიძე, შოთა მოღებაძე, პალიკო ჯიშველაძე, ირაკლი მთლემდემი, ვასილ აბაშიძე, კახა ალანია, ვასილ კაცაძე, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუყაშვილი, გუჯა იოვაძე, ბესიკ ხაძაშვილი.


ბაკო სვანიძე

F 1

მსაბე მსაბე ბრაზილიის დიდი პრიუსი

ინტერლაგოსი

სან პაულუ, 1 აპრილი



ბრანის სიგრძე: 4.309 კმ
ბრანის დისტანცია: 71 ტურ — 305.939 კმ
ბრანის დაიწყო: 1960
ბრანის დასრულდა: 22 საათზე

ზარზანდელი შედეგები: 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ფიზიკელი (ბენეტონი); 3 ფრენცენი (ჯორდან); 4 ტრული (ჯორდან); 5 რ. შუმახერი (უილიამსი); 6 ბატონი (უილიამსი)

წარსულ რაუნდები: 2000 — მ. შუმახერი (ფერარი) 44.755 (207,5 კმ/სთ)

შვილი ბაბარაჯეშვილი			
1973	ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	ლოტუსი
1974	ემერსონ ფიტიპალდი	ბრაზილია	მაკლარენი
1975	ფოზე კარლოს პაჩე	ბრაზილია	ბრეგემი
1976	ნიკი ლაუდა	ავსტრია	ფერარი
1977	კარლოს რუტმანი	არგენტინა	ფერარი
1978	კარლოს რუტმანი	არგენტინა	ფერარი
1979	ფაკ ლეფიტი	საფრანგეთი	ლიფიე
1980	რენე არნუ	საფრანგეთი	რენო
1981	კარლოს რუტმანი	არგენტინა	უილიამსი
1982	ალენ პროსტი	საფრანგეთი	რენო
1983	ნელსონ პიკე	ბრაზილია	ბრეგემი
1984	ალენ პროსტი	საფრანგეთი	მაკლარენი
1985	ალენ პროსტი	საფრანგეთი	მაკლარენი
1986	ნელსონ პიკე	ბრაზილია	უილიამსი
1987	ალენ პროსტი	საფრანგეთი	მაკლარენი
1988	ალენ პროსტი	საფრანგეთი	მაკლარენი
1989	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	ფერარი
1990	ალენ პროსტი	საფრანგეთი	ფერარი
1991	აირტონ სენა	ბრაზილია	მაკლარენი
1992	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	უილიამსი
1993	აირტონ სენა	ბრაზილია	მაკლარენი
1994	მიხაელ შუმახერი	გერმანია	ბენეტონი
1995	მიხაელ შუმახერი	გერმანია	ბენეტონი
1996	დემონი პილი	დიდი ბრიტანეთი	უილიამსი
1997	ფაკ ვილენევი	კანადა	უილიამსი
1998	მიკა შაინენი	ფინეთი	მაკლარენი
1999	მიკა შაინენი	ფინეთი	მაკლარენი
2000	მიხაელ შუმახერი	გერმანია	ფერარი

შუმახერმა მარკანას დაიპყრო

მორიზ ორ რბოლას შორის ათდღიანი, ერთი შეხედვით უმოქმედობის შუალედს ვეღვა თავისებურად იყენებს. ზოგი პილოტი კვლავ ძრავებს უკირკიტებს ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ზოგი კი გუნდის ხელმძღვანელობა მანქანასთან მიკარებს უკრძალავს და სადმე მყუდრო კურორტზე დასასვენებლად უშვებს, როგორც ეს, ვთქვათ, „მაკლარენში“ მიღებული. ფორმულათა შორის საუკეთესო ფესბურთელმა, მიხაელ შუმახერმა, რაკი წლებადედილი ორივე ეტაპის მოგებით გათამაშებას ასპროცენტიანი შედეგით ლიდერობს და სადარდებელიც არაფერი აქვს, ბრაზილიაში ყოფნა ნაყოფიერად გამოიყენა და მსოფლიოს უდიდეს სტადიონ „მარაკანაზე“ იქაურ უდიდეს ვარსკვლავ რონალდოსთან ერთად მორბე საექსპოზიციული მატჩში მიიღო მონაწილეობა, თან ერთი გოლიც გაიტანა. ხოლო „ფერარიში“ შუმის მეწყვილე რუბენს ბარიკლო, მშობლიურ სან პაულუსში პოპულარობით ლამის პირველი კაცი, ერთი-ორჯერ გოლფის მინდორზეც ნახეს, სადაც იმავე რონალდოს გაეჯიბრა. ვიცობით ნაკლებად ცნობილი ტარსო მარკუმმა თანამემამულეთა ყურადღების მისაპყრობად სხვა ხერხს მიმართა და თმის გადაღება განიზრახა, რასაკვირველია, თავისი ქვეყნის ეროვნული დროშის ფერად, მაგრამ რადგან ბრაზილიური ალამი სამფე-

როვანია, 25 წლის მბრძოლი არჩევანის წინაშე დადგა, ბოლოს კი თავი გაილურჯა. „ლურჯი თმა არც ისე ჭყეტელია“ — ახსნა თავისი გადაწყვეტილება ტარსომ. „მაკლარენის“ ბანაკში საერთოდ არ ანციბენ. გასაგებია — „ევრცხლისფერ ისრებს“ გერჯერობით სამხიარულ არაფერი აქვთ. პაკინენ-კულპარდის დეუტი „შუმახერსა და კომპანიას“ უკვე ბლომად ჩამორჩება, ხოლო მიკა თუ ხვალინდელ რბოლასაც ჩააფლავებს, შეუძლია, მესამე ტიტულზე ხელი ჩაიჭიოს. შეგასხენებთ, რომ ორი ეტაპის შემდეგ ქულათა ანგარიშია 20:1 შუმის სასარგებლოდ. ბოროტი ენები უკვე ფინელ ექსპემიონის ჩამოწრაზე აღაპარაყენენ — მას შემდეგ, რაც მამა გახდა, ტრასაზე საჭიროზე მეტად ფრთხილობს. განახლებულ „ინტერლაგოსზე“, სადაც რბოლები 1990 წლიდან იმართება, საინტერესო ტრადიცია დამკვიდრდა — ბრაზილიის დიდი პრიუსის მოგებით ათიდან ცხრა შემთხვევაში იმ სეზონში ჩემპიონი გახდა. ასე რომ, სან პაულუს ხვალინდელი ტრიუმფატორი ათ ქულასთან ერთად მეტოქეებზე ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც მოიპოვებს. ერთი ფაქტიც სტატისტიკის მოყვარულთათვის — ბოლო სამი კვალიფიკაცია პაკინენმა მოიგო.

გიან ახალაძე

რესტორანი მზიანი ღამე




განსაკუთრებული მუშაობა გუმბარესტის სარისნით
 დღის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
 * გზურთ წვეულების, ბანკეტის, ფორმეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

ქუთუთის ქუჩა №3
(ყოფილი სიკის სასტუმროს პირველი სართული)
მოგობანდით, გვინდათ: კმაყოფილი დარჩებით



AP ფილადელფიიდან



AP მილუოკიდან


ორი ბიუჯეტი

ფილადელფიის ყინულის ახლოში დატრიალებულ ამბავს ასე მოვიხსენიებთ: „დოუმის“ მოედანზე ერთმანეთს ხვდებოდნენ მასპინძელი „ფლაიერსი“ და ტორონტოს „მეიფლ ლიგნი“. სადაც თამაშია, იქ ორწუთიანი ჯარიმებიც წმირია და საჯარიმო საკანში მოხვედრილა ტორონტოელი ტაი დომი, რომელსაც ზურგსუკნიდან ფილადელფიელ ქომაგთა ლანძღვა შემოსმა. ვიფიქვ დომის ბევრი აღარ უფიქრია, წყლიანი ბოთლისთვის ხელი მოუვლია და ტიხარს იქედან გაუწუწავს მაგინებელი. ამის გამო აღმფოთებულა ერთი ზორბა ფილადელფიელი ქომაგი, რომელსაც იმდენი უქნია, რომ ტიხარს გადავლებია და დომისთან მუშტი-კრივი გაუმართავს. სანამ გამშველებლებს უმარჯვიათ, მოთამაშესა და გულშემატკივარს მოუსწრიათ, ორ-ორი მაღლიანი დაუკრავთ ერთმანეთისთვის. მერე გააგებელი მოქალაქე პოლიციის ძალით გაუყვანიათ საჯარიმო საკნიდან. გაგრძელებისა ჯერ არ ვიცით, თამაში კი „ტორონტოში“ მოიგო 2:1.



ბარდამტეხი

ეს იყო ვადამწვეტი და ვარდამტეხი ბურთი: სემ კასელმა (№10) ჩააგდო და გლენ რობინსონის მკლავებში აღმოჩნდა. დარჩენილ დროში მოწინააღმდეგემ ამოქანვა ვეღარ მოასწრო. მოკლედ, „მილუოკი ბაქსმა“ „მაიაში ჰითს“ მოუგო 104:96.



AP მილუოკიდან



გუზა ხალხი

კვირას, სან პაულუში მეფორმულეთა დიდი პრიზი გათამაშდება. მილიონერები საჩუქებს მოსწდებიან და მთელი მსოფლიოს თვალწინ შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მანამდე კი ფორმულის ფორტის უჩინარი მსახურნი, ბრანდილივი მუშები გზის პირას საშხრობენ. ამ კაცებმა უნდა მოაპრიადონ ტრასა, რათა რბოლა კონტად და უხეფათოდ ჩატარდეს.

REUTERS სან პაულუდან

ასლა პარიზში

სამრთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამთავლიერებელთა საბჭო, რომელსაც პეინ ვერბრიუგენი (მარცხნივ) თავგაცობს, ასლა პარიზშია და იქაურობის სპორტულ შესაძლებლობებს იკვლევს. რა ვასავიანია და საბჭოს წევრები საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკსაც შეხვედრიან. 13 ივნისს, ოლიმპიური კომიტეტი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელს აირჩევს პეკინს, პარიზს, სტამბოლს, ოსაკასა და ტორონტოს შორის, საბჭოს მიერ შეგროვილი მასალა კი შეიძლება ვადამწვეტიც აღმოჩნდეს. ვერბრიუგენის გუნდმა უკვე შეისწავლა ოთხი კანდიდატის შესაძლებლობები და ასლა პარიზისას სწავლობს.



REUTERS პარიზიდან

სარბიელი
საორტული გაჯეტი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონსპერია
დირექტორი ბიორბი ოქრომჭაილიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი პანტანო ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი
დარჯანია, ვიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი,
პაატუ კვანტალიანი, ვანო ოქრობორიძე კალათბურთის და ინფორ-

რმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახელედიანი, ილია ბაბუნა-
შვილი, ვიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასა-
შვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი
ჭუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუ-
ნავაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები შია აბზიანიძე, ნათელა
გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა
დევიაძე, მაგდა დოვრეშვილი, კახა თაღაკვაძე, ტრისტან კახურა-
შვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე,
ნინო ფუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბეგის ბაგზირი 42, II
პირაუსი, IV სართული.
საწოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საწოსტო
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieli.com.ge>